ისტორია

II ტური

ინსტრუქცია ***დავალებებისთვის 1-5:*** *თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.*

1. ვინ ამთავრებდა რომის სენატში ყველა თავის გამოსვლას სიტყვებით - „სხვა მხრივ კი ვთვლი, რომ კართაგენი უნდა დაინგრეს“?

I. სციპიონ აფრიკელი
II. კატონ უფროსი
III. მარკუს ტულიუს ციცერონი
IV. გაიუს მარიუსი

2. ვინ და სად დაამარცხა არმინიუსმა?

I. ჰუნები კატალაუნის ველზე
II. რომაელები ტევტობურგის ტყეში
III. ბიზანტიელები ნიკეის ბრძოლაში
IV. გოთები მდინარე რუბიკონზე

3. ვინ იყო გელათის აკადემიის მოძღვართ-მოძღვარი?

I. ილარიონ ქართველი
II. იოანე პეტრიწი
III. სერაპიონ ზარზმელი
IV. გიორგი მთაწმინდელი

4. რომელ ომში მონაწილეობდა ცნობილი მხედართმთავარი ალბრეხტ ვალენშტაინი?

I. ასწლიანში
II. ოთხმოცწლიანში
III. ოცდაათწლიანში
IV. შვიდწლიანში

5. რომელი მსჯელობაა მართებული თბილისში, 1978 წლის აპრილში განვითარებული მოვლენების შესახებ?

I. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ სტალინის კრიტიკამ, რომელიც ანტიქართულიც იყო, მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია და მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს ხელისუფლებამ ცეცხლი გაუხსნა

II. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში აღარ იყო მუხლი ქართული ენის სახელმწიფო ენად ცნობის შესახებ. ამან ახალგაზრდობის მძაფრი პროტესტი გამოიწვია და ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია

III. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საზეიმო აღნიშვნას ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი შეეწინააღმდეგა და სხვადასხვა ქალაქებში საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა

IV. სასურსათო პროდუქტებზე ფასების მომატებამ და პარალელურად მაღაზიებში პროდუქტების შემცირებამ ანტისამთავრობო გამოსვლები გამოიწვია, რომლებიც ხელისუფლებამ მკაცრი რეპრესიებით ჩაახშო

ინსტრუქცია დავალებებისთვის 6-7: *ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება. .*

6. დაალაგეთ ქრონოლოგიურად საქართველოს ერთიანი სამეფოს დედოფლები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

1. ოსთა მეფის ასული ბურდუხანი
2. მარიამ არწრუნი
3. ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი
4. ოსთა მეფის ასული ბორენა

7. დაალაგეთ ქრონოლოგიურად ინგლისის სამეფო დინასტიები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

1. იორკები
2. პლანტაგენეტები
3. სტიუარტები
4. ტიუდორები

ინსტრუქცია დავალებისთვის 8: *ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და შეასრულეთ მოცემული დავალება. თითოეული არგუმენტის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა.*

დავალება 8. ჰენრი VIII-ს მიერ განხორციელებული საეკლესიო რეფორმა.

ინგლისის მეფის ჰენრი VIII-ის ინიციატივით სახელმწიფო საბჭოს უნდა განეხილა რომის პაპის დაქვემდებარებიდან ადგილობრივი ეკლესიის გამოყოფის საკითხი. საბჭოს წევრთა ნაწილი იზიარებდა მეფის მოსაზრებას, ნაწილი კი მისი წინააღმდეგი იყო.

(2) 8.1. მოიყვანეთ ორი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც რომის პაპის დაქვემდებარებიდან ინგლისის ეკლესიის გამოყოფის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

(2) 8.2. მოიყვანეთ ორი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც რომის პაპის დაქვემდებარებიდან ინგლისის ეკლესიის გამოყოფის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებებისთვის 9-10: *ერთმანეთს შეუსაბამეთ ორ სვეტში მოცემული ინფორმაცია. თითოეული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 4 ქულა.*

9. დაადგინეთ შესაბამისობა ქართველ მეფეთა ფრესკებსა და იმ ტაძრებს შორის, სადაც ეს ფრესკებია გამოსახული.

	ფრესკა მეფის გამოსახულებით		ტაძარი
A		**1**	სვეტიცხოველი
B		**2**	ვარძია

C		3	ოშკი
D		4	ბედია
		5	მაცხვარიში
		6	ბეთანია

10. დაადგინეთ შესაბამისობა ნაწარმოებსა და იმ ისტორიულ დროს შორის, როცა ვითარდება ნაწარმოების სიუჟეტი.

	ისტორიული რომანი		**ისტორიული დრო**
A	სამი მუშკეტერი	1	X საუკუნე
B	ქარწაღებულნი	2	XII საუკუნე
C	ალი და ნინო	3	XIV საუკუნე
D	ვარდის სახელი	4	XVII საუკუნე
		5	XIX საუკუნე
		6	XX საუკუნე

ინსტრუქცია დავალებისთვის 11: *ყურადღებით დააკვირდით ფოტოს და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.*

11.

(1) 1. კონკრეტულად რომელ ცივილიზაციას მიეკუთვნება სარკოფაგი, რომელიც ფოტოზეა აღბეჭდილი?

(2) 2. ვინ არის (დაასახელეთ გვარი) ფოტოზე აღბეჭდილი არქეოლოგი და რაში მდგომარეობს ფოტოზე აღბეჭდილი აღმოჩენის განსაკუთრებული მნიშვნელობა?

ინსტრუქცია დავალებისთვის 12: ყურადღებით წაიკითხეთ დოკუმენტი და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 18 ქულა.

12. **ყურადღებით წაიკითხეთ წყარო და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.**

ნაწყვეტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძის პასუხიდან რუსეთის პატრიარქ ტიხონ ბელავინსადმი

მდაბალი ლეონიდე, წყალობითა ღვთისაითა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უსაყვარლეს მეუფესა და უპატიოსნეს ქრისტესმიერ ძმასა და თანამსახურს, უწმინდეს ტიხონს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს.

დავასკვენი, რომ შენი უწმინდესობა საკმარისი სიზუსტით არ ფლობს ჭეშმარიტებას და საჭიროდ მივიჩნიე, შემოგთავაზო წმინდა სიმართლის სიტყვა ივერიის ეკლესიის შესახებ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იყო არა "ერთმორწმუნე რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთება", არამედ "საერო ხელისუფალთა" წარმომადგენლების საქმე. ამასთან ერთად, შენმა უწმინდესობამ მშვენივრად იცის, რომ საერო ხელისუფალთა ჩარევას საეკლესიო საქმეებში არ ურიგდება საღვთო კანონები.

შენი სიკეთე ირწმუნება: "საქართველოსა და რუსეთის შეერთებას ერთი საეკლესიო ძალაუფლების ქვეშ მთელი საუკუნის განმავლობაში არ გამოუწვევია არავითარი საყვედური", უწმინდესო მეუფეო! მხოლოდ არასაღვთო სულს შეეძლო შენს ყურამდე მიეწვდინა, რომ "მთელი საუკუნის მანძილზე ამ შეერთებას არ გამოუწვევია არავითარი საყვედური"! განა ცნობილი არ არის შენთვის, რომ "საქართველოს მცხოვრებნი არ ურიგდებოდნენ მათი ეკლესიის დამოუკიდებლობის განადგურებასა და უწმინდესი სინოდისადმი მორჩილებას", განა შენი სიკეთისათვის უცნობია იმერეთის ერისა და სამღვდელოების "საყვედური" ქუთათელი მიტროპოლიტ დიონისესა და გაენათელი მიტროპოლიტ ექვთიმეს ხელმძღვანელობით, რომლებსაც ამ "საყვედურის" გამო საიმპერატორო ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხი დააბრალეს, სასამართლოსა და გამოძიების გარეშე დააპატიმრეს და ძლიერი ბადრაგით გადაგზავნეს თბილისში, შემდეგ კი რუსეთში? რაოდენ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ხსენებულ მღვდელმთავართა "საყვედური", ჩანს იმ სისასტიკიდან, რომელიც მართლმადიდებელი რუსეთის მთავრობამ გამოიყენა ამ ქართველი იერარქების წინააღმდეგ. — "ტყვეები რომ მშვიდად იყვნენ, — წერს გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს პოლკოვნიკი პუზირევსკი, — ვერ გაიქცნენ, ვერ იცნონ ერთმანეთი და გადაყვანის დროს ვერ იცნოს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, მე ჩამოვაცმევ მათ თავზე ტილოს ტომრებს პირის მხარეს ხვრელით, ხოლო კისრისა და წელის სიმაღლეზე ტომრებს თოკით შევკრავ. უკიდურეს შემთხვევაში კი ვვარაუდობ მათ დახოცვასა და გვამების მდინარეში ჩაყრას".

საქართველოს ეპისკოპოსებმა და სამღვდელოებისა და ერის წარმომადგენლებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, შეკრებილიყვნენ 1917 წლის 12 მარტს თორმეტი მოციქულის სახელობის მცხეთის საკათოლიკოსო ტაძარში და ერთხმად და ერთსულოვნად დაადგინეს: იმ

მომენტიდან მიიჩნიოთ აღდგენილად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მმართველობა და აუწყონ ამის შესახებ დროებით მთავრობას.

შენი უწმინდესობისათვის აშკარა უნდა იყოს, რომ რადგან წმ. სინოდი XIX საუკუნის დასაწყისში არა თავისი ინიციატივით ჩაერია საქართველოს ეკლესიის საქმეებში, არამედ ზემოდან წამოსული იძულების შედეგად, საქართველოს ეკლესიას ჰქონდა საფუძველი, ეფიქრა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მისი წმ. სინოდის სახით 1917 წელს სიხარულით შეხვდებოდა გათავისუფლებას მისთვის თავსმოხვეული ზრუნვისაგან საქართველოს ეკლესიაზე. მაგრამ ეს არ მომხდარა: წმ. სინოდის წევრი, მთავარეპისკოპოსი პლატონი, მას შემდეგ, რაც მიიღო ჩვენი ოფიციალური უწყება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისთვის ქართლისა და კახეთის ეპისკოპოსისა და საქართველოს ეგზარქოსის წოდების ბუნებრივად გამომდინარე ჩამორთმევის შესახებ, იმის მაგიერ, რომ ძმურად მოელოცა ჩვენთვის, რუსი ჯარისკაცების ხიშტებით დაგვემუქრა.

შენი უწმინდესობა ჩვენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან სარწმუნოებისა და სიყვარულის ერთიანობის დარღვევას და მასთან "ყოველგვარი კანონიკური წესების საწინააღმდეგოდ ყველანაირი ურთიერთობის გაწყვეტასაც" გვსაყვედურობს. მაგრამ ეს საყვედურიც არ დაგვიმსახურებია და ამიტომ უსაფუძვლოა. აღარ ვაღიარებდით ჩვენს თავზე სინოდის სრულიად არაკანონიკურ ძალაუფლებას, მაგრამ სულაც არ გვიფიქრია "რუსეთის ეკლესიასთან ყოველგვარი ურთიერთობის გარეთ" ყოფნა.

მას შემდეგ, რაც ამა წლის 3 მარტიდან რუსეთში სამოქალაქო თავისუფლება გამოცხადდა, საქართველოს ეკლესიურმა ერმა ისურვა და 12 მარტს აღადგინა თავისი მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები.

ჩვენ ახლაც გვაქვს იმედი, უწმინდესო მეუფეო, რომ "ღმერთი ყველაფერს სასიკეთოდ მოაწყობს და ამ საქმეში არსებული მახვილი კუთხეები დაბლაგვდება", ხოლო თუ არ მოგვიხდა ძმური შეხვედრა რუსეთის ეკლესიის ადგილობრივ კრებაზე, ამაში, წმინდა მეუფეო, ჩვენი ბრალი არ არის.

ყოველივე თქმულის შემდგომად, შენი უწმინდესობის მოწვევა, რომ გამოვცხადდეთ სრულიად რუსეთის წმინდა კრებაზე და ვაღიაროთ საკუთარი ცდომილება, უადგილო და უმიზნოა: ჩვენს ქმედებებში ცდომილებები არ არის.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმინდისა იყოს ჩვენ ყოველთა თანა. ამინ.

მდაბალი ლეონიდე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

კითხვები:

(2) 1. დოკუმენტის მიხედვით, რამ გადააწყვეტინა კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს წერილის დაწერა?

(1) 2. ვის გულისხმობს (დაასახელეთ პიროვნება) კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე იმ „საერო ხელისუფალში“, ვისმა წარმომადგენლებმაც გააუქმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია?

(2) 3. დოკუმენტის მიხედვით, ვინ დააპატიმრეს რუსებმა იმერეთში და რატომ?

(2) 4. იმერეთში რომელ წელს განვითარებულ ამბებზე წერს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე წერილში და თქვენი აზრით, რატომ არ უნდა ეცნოთ იმერეთის მაცხოვრებლებს დაპატიმრებულები?

(1) 5. დოკუმენტის მიხედვით, დაასახელეთ იმერეთის აჯანყების ჩახშობაში მონაწილე ორი კონკრეტული პიროვნება.

(2) 6. ვინ შექმნა სინოდალური მმართველობა რუსეთის იმპერიაში და თქვენი აზრით, რატომ შეიქმნა ის?

(1) 7. დოკუმენტის მიხედვით, რა თანამდებობებს ფლობდა „წმ. სინოდის წევრი, მთავარეპისკოპოსი პლატონი“?

(1) 8. როგორ მოვიხსენიებთ ჩვენ მცხეთაში არსებულს თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძარს, სადაც გამოცხადდა ავტოკეფალიის აღდგენა?

(2) 9. დოკუმენტის მიხედვით, რით დაემუქრა „წმ. სინოდის წევრი, მთავარეპისკოპოსი პლატონი“ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს და თქვენი აზრით, რატომ?

(2) 10. დოკუმენტის მიხედვით, სრულად დაასახელეთ რას ითხოვდა პატრიარქი ტიხონი საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენლებისაგან?

(2) 11. დოკუმენტის მიხედვით, ჩამოაყალიბეთ პატრიარქ ტიხონის ის ორი დებულება, რომლებსაც კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე აქარწყლებს.

ისტორია

პასუხები

II ტური

სულ 40 ქულა

1-7 დავალებები 1 ქულით ფასდება

1. II
2. II
3. II
4. III
5. II

6. 2 4 3 1
7. 2 1 4 3

დავალება 8 - სულ 4 ქულა

8.1. ნებისმიერი ლოგიკური არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 1 ქულით; სულ 2 ქულა

8.2. ნებისმიერი ლოგიკური არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 1 ქულით; სულ 2 ქულა

დავალება 9 - სულ 4 ქულა

A4 – 1 ქულა

B2 – 1 ქულა

C6 – 1 ქულა

D5 – 1 ქულა

დავალება 10 - სულ 4 ქულა

A4 – 1 ქულა

B5 – 1 ქულა

C6 – 1 ქულა

D3 – 1 ქულა

დავალება 11 - სულ 3 ქულა

11.1. ეგვიპტური - 1 ქულა

11.2. კარტერი - 1 ქულა; სარკოფაგი იყო გაუძარცვავი -1ქულა; სულ 2 ქულა

დავალება 12. - სულ 18 ქულა

N	პასუხები
12.1	ტიხონი არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესების შესახებ - 1 ქულა შესთავაზოს სიმართლე ივერიის//საქართველოს ეკლესიის შესახებ -1 ქულა სულ 2 ქულა
12.2	ალექსანდრე I - 1 ქულა
12.3.	ქუთათელი დიონისე და გაენათელი ექვთიმე -1ქულა ამბოხი დააბრალეს--1ქულა სულ 2 ქულა
12.4	1819//1820 -1 ქულა ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა სულ 2 ქულა
12.5	ველიამინოვი და პუზირევსკი - 1ქულა
12.6	პეტრე I-მა შემოიღო სინოდალური მმართველობა - 1 ქულა ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ - 1 ქულა სულ 2 ქულა
12.7	ქართლისა და კახეთის ეპისკოპოსისა და საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობა -1ქულა
12.8	სვეტიცხოველი - 1ქულა
12.9	რუსი ჯარისკაცების ხიშტებით - 1ქულა ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ - 1ქულა სულ 2 ქულა
12.10	გამოცხადებულიყვნენ სრულიად რუსეთის წმინდა კრებაზე-1ქულა ეღიარებინათ საკუთარი შეცდომა -1ქულა სულ 2 ქულა
12.11	"საქართველოსა და რუსეთის შეერთებას ერთი საეკლესიო ძალაუფლების ქვეშ მთელი საუკუნის განმავლობაში არ გამოუწვევია არავითარი საყვედური" -1ქულა ქართულმა ეკლესიამ გაწყვიტა კანონიკური კავშირი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან - 1 ქულა სულ 2 ქულა